ხელშეკრულება №03-09-36

ქ. წყალტუბო „26„ სექტემბერი 2012 წელი

ხელშეკრულების დადების საფუძველი:

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №69 დადგენილებით (შემდგომში-დადგენილება) დამტკიცებული შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების „სპეციალური წესის" მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი. შპს,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" დირექტორის 01.03.2012წ. №02/33 და 01.03.2012წ. №02/34 ბრძანებები.

ხელშეკრულების მხარეები:

ერთის მხრივ, შპს,, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია", (შემდეგში-შემსყიდველი) წარმომადგენელი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ფილიალის მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ზაბახიძე და მეორეს მხრივ, ი/მ,,კობა ბერეკაშვილი'' (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმომადგენელი კობა ბერეკაშვილის სახით.

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი. საქონლის დასახელება: №9 სამეურნეო საქონელი.
,,დანართი №1"-ში მითითებული ფასისა და ტიპის მიხედვით.

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **828** (რვაასოცდარვა) ლარს საქართველოში მოქმედი გადასახადების ჩათვლით.

3. საქონლის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია ქვეყანაში მოქმედი სტანდარტებისა და ტექნიკური ნორმების დაცვით შეასრულოს ხელშეკრულების პირობა.

4. საქონლის მიწოდების ვადა

4.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2012 წლის 28 სექტებრის ჩათვლით.

5. საქონლის მიღების წესი

5.1 მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით , რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ფილიალის საწყობის უფროსი.

6. მიღება-ჩაბარების აქტის რეკვიზიტები

6.1 ხელშეკრულების ნომერი , მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების ადგილი, მიღებული საქონლის ხარისხი, მოცულობა, შემსყიდველისა და მიმწოდებლის და მათი წარმომადგენლების დასახელება, უფლება მოსილი პირების ხელმოწერა.

7. საქონლის მიწოდების ადგილი

7.1 ქ.ქუთაისი, ჭავჭავაძის №51.

8. ანგარიშსწორების ვალუტა, ფორმა, გადახდის ვადა

8.1 ლარი, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით , ანგარიშსწორების განსახორციელებელი ბოლო დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

9. ანგარიშსწორების განსახორციელებელი დოკუმენტაცია

9.1 მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა.

10. პასუხისმგებლობა

10.1 მიმწოდებელს ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ სრულ კვირაზე ასანაზღაურებელი თანხიდან დაუკავდება ხელშეკრულების ღირებულების 0.3% ; ზიანი ანაზღაურდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11. ფორს-მაჟორული გარემოებები

11.1 ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირება და სხვა მხარეთა მიერ დაუძლეველი გარემოება.ასეთ დროს ვალდებულებათა დარღვევის გამო მხარეთა პასუხისმგებლობა გამოირიცხება. მეორე მხარეს უნდა ეცნობოს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობის შესახებ 5 დღის ვადაში.

12. დავის გადაწყვეტის წესი

12.1 მხარეთა მოლაპარაკება. მოლაპარაკების დროს მისაღები შედეგის მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვა.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების / დამატებების შეტანის ფორმა

13.1 წერილობითი.

14. ეგზემპლარების რაოდენობა და განაწილება

14.1 ხელშეკრულება დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი – მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის უფლებამოსილებები

15.1 ა) პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 3%-ს ან მეტს; ბ) ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა; გ) ფორს-მაჟორული გარემოებების გაგრძელება 15 დღის განმავლობაში; დ) ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე, არანაკლებ 10 დღით ადრე შემსყიდველის მიერ წერილობითი შეტყობინებით; ე) ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე ნებისმიერ დროს, თუ დადგება ისეთი გარემოება, რომელიც ადასტურებს, რომ მეორე მხარის მიერ ვალდებულება მომავალში ვერ შესრულდება; ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

16. ხელშეკრულების ინსპექტირება

16.1 ინსპექტირება შესაძლებელია განხორციელდეს შემსყიდველის მიერ, ხელშეკრულების პირობის შესრულების შემდეგ 10 დღის განმავლობაში. შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის მიერ. ინსპექტირებისას გამოვლენილ საქონლის ნაკლს გამოასწორებს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

17. ხელშეკრულების მოქმედება

17.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2012 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია". ს/კ 412670097. წარმომადგენელი იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ფილიალის მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ზაბახიძე. ბანკის რეკვიზიტები - სს ,,ლიბერთი ბანკი'' ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ა GE45LB0113123325230006

მენეჯერის მ/შ

ალექსანდრე ზაბახიძე

ი/მ ,, კობა ბერეკაშვილი", ს/კ 60001006498, იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი სულხან-საბას გამზ. №77, ბ. 20, სს ,,პროკრედიტ ბანკი'', ბანკის კოდი MIBGGE22, ა/ა GE44PC9100302012100296

კობა ბერეკაშვილი

დანართი №1

ხელშეკრულება №03-09-36

ქ.წყალტუბო

„26„ სექტემბერი 2012 წელი

№	შესყიდვების ობიექტის დასახელება	საქონლის/მომსახურების ტიპი	ზომის ერთეული	რაოდ ენობა	ერთეულ ის ფასი (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)
1	№9 სამეურნეო საქონელი	ფხვნილი რაქშა 465გრ (20ც)	ყუთი	3	20	60
2	№9 სამეურნეო საქონელი	საპონი ფაქსი (72ც)* 75გრ	ყუთი	1	24	24
3	№9 სამეურნეო საქონელი	ჭურჭლის სარეცხი სითხე ტეზი 240გრ (32ც)	ყუთი	3	24	72
4	№9 სამეურნეო საქონელი	ჭურჭლის სარ. სითხე ფეირი 500მლ (21ც)	ყუთი	1	48	48
5	№9 სამეურნეო საქონელი	მაგიდის ტილო (40ც)	შეკვრა	1	17	17
6	№9 სამეურნეო საქონელი	რეზინის ხელთათმანი (12ც)	შეკვრა	4	12	48
7	№9 სამეურნეო საქონელი	თხევადი საპონი 500გრ	ცალი	20	1.7	34
8	№9 სამეურნეო საქონელი	ნათურა 100 ვტ	ცალი	240	0.5	120
9	№9 სამეურნეო საქონელი	ნათურა 150 ვტ	ცალი	200	0.65	130
10	№9 სამეურნეო საქონელი	ნათურა 300 ვტ	ცალი	50	1.65	82.5
11	№9 სამეურნეო საქონელი	იატაკის ტილო	ცალი	10	1	10
12	№9 სამეურნეო საქონელი	მინის საჭმწნდი ტეზი 0.5ლ	ცალი	10	1.3	13
13	№9 სამეურნეო საქონელი	უნიტაზის ხსნარი კომეტი 750 გრ	ცალი	3	4	12
14	№9 სამეურნეო საქონელი	მუშის ხელთათმანი (12ც)	შეკვრა	15	10.5	157.5
						ჯამი: 828.00 ლარი

შემსყიდველის მხრიდან:

შპს "საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია" იმერეთის , რაჭა-ლეჩხუმისა
და ქვემო სვანეთის რეგიონული ფილიალი
მისამართი: ქ.წყალტუბო, ყაზბეგის მე-6 შესახ. №12 ს/კ №412670097,
სს„ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი: № LBRTGE22,
ა/ა № GE45LB0113123325230006
მენეჯერის მ/მ

ალექსანდრე ზაბახიძე

მიმწოდებლის მხრიდან:

ი/მ „ კობა ბერეკაშვილი", ს/კ 60001006498,
იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი სულხან - საბას გამზ.
№77, ბ. 20, სს„პროკრედიტ ბანკი",ბანკის კოდი MIBGGE22
ა/ა GE44PC9100302012100296

კობა ბერეკაშვილი